წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 12 ღვინობისთვე 1916 წ. № 226

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი ... წინა გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი წლიურად: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსანდრე მალხაზის ძე ნადირაშვილი, დედა პელაგია ხელაძისა, დედამთილი ანა ხოსიას ასული ნადირაშვილისა, ძმები ზაქარია, ლადო და ნინა, რძლები თამარა, სონა, ეკატერინე და მარიამი, მაზლები ნიკოლოზ, ზაქარია, მელიტონი, ივანე და სტეფანე მალხაზის ძენი, მულები ნინა და სონა ნადირაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს 9 ოქტომბერს უდროოდ გარდაცვალებას

ეკატერინე დავითის ასულის
ნადირაშვილისას

რომლის პანაშვიდი დანიშნულია ყოველდღე საღამოს, 7 საათზედ, ხოლო გამოსვენება და დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზედ 13 ოქტომბერს, დილით, ხუთშაბათს, დილის 10 საათ. მალაკნის ქ. ს. № 27.

(3—360—2)

მიხეილ ქრისტეფორეს ძე ელიზბარაშვილი, შვილებით: შალვა, თამარი, ირაკლი. მშობლები განსვენებულისა მიხეილ თადეოზის ძე ბათიევი და მეუღლე ნინო სოლომონის ასული. ძმები: არჩილი, გიორგი, საშა და ლევანი; გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

პელაგია მიხეილის ასულის
ელიზბარაშვილისას

დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე დღეს, 12 ღვინობისთვეს, დილის 12 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან დილის 9 საათზე.

თბილისის მაზრის
თავად-აზნ. წინამძღოლი

სთხოვს თბილისის მაზრის თავად-აზნაურთ დაესწრნენ

საგანგებო კრებას

ამა წლის 16 ოქტომბერს, კვირას, 12 ს. დღისით, დეპუტატთა საკრებულოს შენობაში,—თბ. მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლის თანაშემწის ასარჩევად

(2—205—1)

განცხადება.

ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ დღეს ,12 ოქტომბერს, საღამოს ცხრა საათზე დანიშნულია ახალ კლუბის წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველია მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები

(1—204—1)

სახალხო სახლი

სეზონის დასაწყისი.

ოთხშაბათს, 12 ღვინობისთვეს თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I.
მორევში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

II.
გულმა იგრძნო

კომ. 1 მოქ.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

(3—202—3)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ ,,კაფე პარიზში‘‘ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები
ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქში, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

საუკეთესო სასადილო

„ეკონომია“

პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, ,,პიროჟკი‘‘ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, ,,ეკონომიაში‘‘ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—18) დიმიტრი უჩ. ჩიგიბერია და ნ. ზ. ძურთაური

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს
სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.
თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—16)

საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტურა

თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებაში; აქ იზრდება მთელი ამერეთის ქართველი სამღვდელოების ქალიშვილობა, რომელიც შემდეგში, ოჯახში, ან სკოლაში თვით ზრდის საქართველოს ახალ მოდგმას.

სასწავლებელში მყოფ ქართველ მოწაფეთათვის, მათ მშობლებთათვის და მთელი ქართული საზოგადოებისათვის უაღრესად საგულისხმოა, თუ ვის ხელშია საჭე სასწავლებლის ადმინისტრატიულ წყობილებისა, ვინაიდან სწორედ იგი განაგებს სასწავლებლის საპედაგოგიო წესს და მასზეა დამოკიდებული სასწავლებლის ეროვნული თუ არა-ეროვნული სახე და პატივცემა მრავალრიცხოვან ქართველ მოწაფეთა სამშობლო ენისა ,წარსულისა და მწერლობისა.

ამ ათი წლის განმავლობაში თფილისის საეპარქიო სასწავლებლის მოწაფეობა უზრუნველი იყო სალ პედაგოგიის და სამშობლოს წინააღმდეგ ექსპერიმენტებისგან, რადგან ინსპექტორის თანამდებობას განაგებდა ყველასგან პატივცემული დეკანოზი კორნელი კეკელიძე.

დეკანოზ კორნელი კეკელიძის გამგებლობისას საეპარქიო სასწავლებელი, ბ. ძველი სემინარიელის სიტყვით, „დიდათ გამოიცვალა და ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცა; ქართული ენის კათედრა გაძლიერდა და ლიტერატურის პროგრამა გაფართოვდა იმ ზომად, როგორც ეს არც ერთ ქართულ სასწავლებელში არაა; დღეს იქ „ქართული არქეოლოგიაც“ კი ცალკე საგანს შეადგენს და განსაკუთრებული დრო აქვს დანიშნული, აგრეთვე „საქართველოს საეკლესიო ისტორიასაც“...

ყველაფერი ეს ისეთი ნაამაგარია, რაც ღირსეულ მემკვიდრეს თხოულობს... დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიერ გაკეთებული საქმე არ უნდა ჩაიფუშოს

... ქართლ-კახეთის ეპარქიის დედათა სასწავლებლის ხელმძღვანელი უნდა იყოს ქართველი, ქართველი არა მარტო გვარით, არამედ სულითაც.

თბილისის სემინარიის რექტურის გარდაცემა ქართველის ხელში ცხადჰყოფს უწმიდეს სინოდის სასურველ განწყობილებას ჩვენდამი.

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ადგილობრივი სასულიერო მმართველობა დისონანს არ შეიტანს ამ განწყობილებაში.

ახალი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

ყოველი სამხედრო მიმომხილველი ახლა თავის წერილს შემდეგ სათაურით იწყობს „რუმინეთის ბედი“. საფრთხე დიდია ახალ მოკავშირესათვის და საზოგადოების მოწინავე ნაწილები გულის ფანცქალით უყურებენ, თუ რას მოუტანს რუმინეთს ახლო მომავალი. დასამალი და დასაფარავი არაფერია. მტერმა ისარგებლა შემოდგომით, ყოველ მხრიდან ჯარები მოიკრიფა და გაბოროტებული „რუმინეთის ღალატით“ სასტიკი იერიშები დაიწყო უკანასკნელის წინააღმდეგ. თუ კი საქმე-საქმედ მოუვა გერმანეთს, ჩვენ ვიცით რა არაჩვეულებრივ სისასტიკით მოეფინება რუმინეთის მიწაწყალს და რაგვარ ცეცხლის ალში გაახვევს თავის მოპირდაპირეს. ეს ყველას კარგათ ესმის, იციან მტრის შურისძიების თვისება და ამის გამოც ყოველ მხრიდან ურჩევენ მოკავშირეებს, რათაც უნდა დაუჯდეთ სამაგიერო ოპერაცია გაუჩაღონ გერმანეთს ან და ავსტრიას. თუ რუმინეთი მართლაც სერბეთის ბედს განიზიარებს, ამაში ისევე საბერძნეთი იქნება დამნაშავე. თავის ორჭოფი პოლიტიკით მოკავშირეებს იმდენად ხელი შეუკრა, რომ სარაილის მეთაურობით სალონიკში მდგომი ჯარი იძულებული გახდა გულხელდაკრეფილი უმზიროს რუმინეთის გასაჭირს. ვერ იქნა გავლენა ვერ მოახდინეს საბერძნეთის მეფე კონსტანტინეზე მოკავშირეებმა და ვერ აიძულეს რუმინეთის საშველად გამოსულიყო. უკანასკნელი ცნობები მოსული საბერძნეთიდან პირიქით იმას გვიმტკიცებს, რომ მდგომარეობა გართულდა, უფრო აიწეწ-დაიწეწა დამოკიდებულება მოკავშირეთა და საბერძნეთის მთავრობის შორის. დამოკიდებულების ასეთი გამწვავება მით უფრო ხელსაყრელი არ არის მოკავშირეებისთვის, რადგან ახლა გაცილებით მეტ ყურადღებას იპყრობს. საჭირო იყო ერთის დაკვრით გამოერკვიათ საბერძნეთის საკითხი და ამ გზით ერთხელ და სამუდამოთ გამორკვეულ ფაქტთან ჰქონოდათ საქმე. ლმობიერობა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ბედ-იღბალი სწყდება, უადგილოა. ჩიჩინი და ზნეობრივ მოვალეობაზე ლაპარაკი ისეთ ხელმძღვანელთან, რომელსაც არ სწამს, არ მიაჩნია სავალდებულოდ ერთხელ დადებული იურიდიული ხელშეკრულობა, დანაშაულია. ვინ იცის როდის რას იტყვის საბერძნეთი და ანკი იტყვის რასმეს მოკავშირეთა სასარგებლოდ? განა შეიძლება დახანება და იმედების დამყარება სწორედ ახლა, ამ წამს, როდესაც რუმინეთს სამივე მხრიდან მოპირდაპირე რკინის რკალს არტყამს და გადაყლაპვას უქადის?

გუშინდელ დეპეშებიდან სჩანს, რომ მოკავშირეები ეხლა კი შეიცვლიან თავიანთ ლმობიერ პოლიტიკას და გადაჭრით მოსთხოვენ საბერძნეთს დამორჩილებას. დეპეშების გადმოცემით, მოკავშირეებს ახალი მოთხოვნილებები წარუდგენიათ. მაგალ. საფრანგეთის აგენტი სთხოვს მეფე კონსტანტინეს, რომ მთელი საბერძნეთის ჯარი, რომელიც ფესსალიაში იმყოფება პელოპონესში გადაიყვანას, აგრეთვე მოსთხოვა გადასცეს მთელი ის სამხედრო მასალა, რომელიც დამზადებული იყო ფესსალიაში მდგომ ჯარისათვის. ჯერჯერობით ცნობა არ მოსულა იმის შესახებ, თუ რაგვარი პასუხი მისცა მეფემ საფრანგეთის აგენტს. ვიცით მხოლოდ, რომ მეფემ ინახულა სამხედრო შტაბის უფროსი და საღამოს 5 საათიდან ღამის 2 საათამდის ესაუბრა. ამის შემდეგ მოხდა მინისტრების თათბირი, სადაც დაადგინეს შინაური წესიერების დაცვა ჩაებაროს სამხედრო მინისტრს. ირწმუნებიან, რომ ამ გადაწყვეტილებით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოკავშირეთა შორისო.

რას ნიშნავს ყველა ეს, არავინ იცის. საზოგადოთ მდგომარეობა საბერძნეთში ისეთი გამოურკვეველია, რომ ყველაფერია მოსალოდნელი.

მთავარი შტაბის ცნობით, მაკენზენი განაგრძობს შეტევას და იძულებულ ხდის როგორც რუმინელებს, ისევე რუსეთის ჯარს უკან დაიხონ.

X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დეპეშები

11 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. დაბა ვძის ჩრდილოეთით, დრისვიატის ტბის სამხრეთით, ჩვენს მიდამოებში დაეშვა მტრის საფრენი. მოპირდაპირემ სცადა მდ. მოლდუსკუს მეორე ნაპირას გადასვლა, მდინარე (სტირის ტოტია), ბროდის ჩრდილოეთით, მაგრამ სროლით უკუვაგდეთ. მდ. ნარაიუვკაზე, სვისტელნიკი-სკომოროხის მიდამოებში, ბრძოლა მიყუჩდა. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე ორივ მხრივ სროლა და მზვერავების მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი. მდ. ტროტუსის, ნიტუზის და სლანიკის ველებში რუმინელების ზედმიწოლით მოპირდაპირემ ცოტა უკან დაიხია. მოლდავიის დასავლეთ საზღვრებზე მედგარი და რუმინელებისათვის მარჯვე ბრძოლა გრძელდება.

დობრუჯი. მოპირდაპირის შეუჩერებელის ზედმიწოლის გამო ჩვენი და რუმინელების ჯარი უკან იხევს, თან მედგარ წინააღმდეგობას უწევს მოპირდაპირეს.

—

ლონდონი. დილის ცნობა. 800 გერმანელი დავატყვევეთ. ჩვენი ზარალი, როგორც სჩანს, უმნიშვნელოა.

კორფუ. სერბეთის ოფიც. ცნობა: ბრძოლა მთელს ხაზზე სწარმოებდა. ჩვენს ასპარეზზე გერმანელების ჯარი გადმოუყვანიათ. დავატყვევეთ 1 აფიცერი და 50 მეომარი გერმანელი და ბულგარელი.

ლონდონი. ინგლისის ოფიც. ცნობა. უამინდობის გამო მხოლოდ მზვერავ რაზმების შეჯახებაა.

ლონდონი. ოფიც. ცნობა. შირნესის მახლობლად ნაშუადღ. 1 ს. 45 წუთზე მტრის ჰაეროპლანი გამოჩნდა ძალიან მაღლა და 4 ყუმბარა ჩამოაგდო. 3 ნავთსადგურში დაეცა, მეოთხე რკინის გზის სადგურთან და რამდენიმე ვაგონი დააზიანა. ადამიანის მსხვერპლს არ გვატყობინებენ.

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ-ბანაკის ცნობა. შვაბენისა და ლეზარის შუა ტყვედ ვიგდეთ 1000 გერმანელი, მათ შორის 16 აფიცერი. დღეს დილით მტერმა იპრთან ნაღმი აგვიფეთქა და ორმას ნაპირი დაჭირა.

გუშინ მტრის 4 საფრენი დავაზიანეთ. ჩვენ სამი საფრენი დაგვაკლდა.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: მტრის ჰიდროპლანი ჩვენი საზღვაო ჰაეროპლანებით დაზიანებული, ზღვაში ჩავარდა. ეს ალბად იმ საფრენთაგანია, რომლებმაც შირნეზე მიიტანეს იერიში.

პეკინი. საფრანგეთის მთავრობამ ჩინელების პოლიცია გააძევა სადაო მიდამოებიდან და ეს მიდამოები ტიანცინში დაისაკუთრა. ჩინეთის მთავრობა, როგორც ეტყობა, ამ გარემოებას შეურიგდა.

ლონდონი. ათინიდან იტყობინებიან: საფრანგეთის სამხედრო აგენტმა საბერძნეთის მეფეს მოკავშირეთა მოთხოვნილება წარუდგინა, რომლითაც მოითხოვენ, თესალიიდან მთელი ჯარი პელოპონეზში გადაიყვანოს და მთელი სამხედრო სურსათი მოკავშირეებს ჩააბაროს. დანარჩენი მოთხოვნილებანი არ გამოუმჟღავნებიათ.

ლონდონი. მეფემ სადარბაზოდ მიიღო რუსეთის ჯარიდან გენერალ-ლეიტენანტი დესინო და პორუჩიკი ბრეა.

ათინა. მეფე გუშინ ათინაში დარჩა და მთავარშტაბის უფროსს ეთათბირა. მინისტრთა საბჭოს სხდომამ საღამოს 5 საათიდან შუაღამის 2 საათამდე გასტანა და არსებითი საკითხები განიხილა. დღეს დილით 8 საათიდან ორის ნახევრამდე გაგრძელდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. მოკავშირეთა წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სამინისტროს დადგენილებით, შინაურ წესიერების დაცვა დაევალა სამხედრო მინისტრს. ეს საქმე წინად შინაგან საქმეთა მინისტრს ებარა.

პირეი. იმ პოლკის ნაცვლად, რომელიც მაკედონიაში ბულგარელებს დაჰნებდა, კანადიაში დროებით მთავრობის განკარგულებით იმავე პოლკის სახელწოდებით ახალი პოლკი შეადგინეს.

სტოკჰოლმი. 6 ღვინობისთვეს გერმანელების კრეისერი „მიუნჰენი" ინგლისის წყალქვეშას დაუზიანებია ჩრდილოეთის ზღვაში. კრეისერი ნავთსადგურში დაბრუნებულა.

ბაზელი. ღვინობისთვის პირველში გერმანელების ორმა ჰაეროპლანმა შვეიცარიის მიწა-წყალზე გადაიარა. გუშინ გერმანელების მფრინავი სოლოტურნეს მახლობლად დაეშვა. იგი დაატყვევეს.

პეტროგრადი. გამოიცა ბრძანება, რომლითაც 1916—1917 წელს მთელს იმპერიაში აიკრძალა სპირტის გამოხდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთი

„ნოვ. ვრემია" მეთაურ წერილს უძღვნის საბერძნეთის საქმეებს და სწერს: საბერძნეთში ეხლა ორი მთავრობაა, ერთი სოლუნში ჩვენი მოკავშირე და მეგობარი, მეორე ათინაში ჩვენი აშკარა მტერ-მოყვარე. პირველი ემსახურება საბერძნეთის ეროვნულ საქმეს და ჩვენთან ერთად იცავს მის საზღვრებს გარეშე მტრისაგან, მეორე იმპერატორ ვილჰელმის ყურმოჭრილი ყმაა და გვებრძვის. ეროვნულ მთავრობას თითქოს ცალკეით ვაღიარებთ, უცხოელთა მთავრობას კი, რომელიც ჩვენ გვებრძვის, მოწიწებით ვეკიდებით და ხელშეუხებელ წმინდათა-წმინდათ მიგვაჩნია ნუ თუ ასეთი დამოკიდებულების უცნაურობა არ ესმით იმათ, ვინც საბოლოოდ სწყვეტენ საქმეს? ბულგარეთის მთავრობაც უკანასკნელ წუთამდე, სანამ ომში ჩაერეოდა, ისევე იქცეოდა, როგორც ეხლა საბერძნეთის მთავრობა იქცევა. ხელს ახმარებდა ჩვენს მოპირდაპირეს და თან შეიარაღებას ეშურებოდა. მოკავშირეთა დიპლომატია უცქეროდა ასეთს მდგომარეობას და თავისი თვალით ნანახის დაჯერება არა ჰსურდა. ომიანობის წესები მშვიდობიანობის წესებისაგან ვერ გაერჩიათ და ამას მოჰყვა სამედისწერო შედეგი: ბულგარეთს საშუალება მივეცით მომზადებულიყო და სერბეთს შეჰსეოდა.

საბერძნეთიც ასეთს მდგომარეობაშია. მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატების მოთხოვნილებაზე „დამაკმაყოფილებელ" პასუხებს იძლევიან, ხელზე იხვევენ, ტკბილი სიტყვით ითათბირებენ და ამავე დროს მთელს თავისს სამხედრო ძალასა და სურსათს ლარისში უყრიან თავს, სოლუნში მყოფ ჩვენი ჯარის ზურგის მხარეს.

წინა ხუთშაბათს მოკავშირეთა სამხედრო მთავრობამ ათინის სადგურიდან არ გაუშვა ბერძნების ორი ბატარეა და სამხედრო სურსათი, რომელიც ლარისისაკენ მიემართებოდა ვაგონებით. მაგრამ რამდენი ასეთი მატარებელი წასულა შეუმჩნევლად ლარისისაკენ. მოკავშირეთა სამხედრო მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, დიპლომატია კი კვლავ იდილიით იქცევა. დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემდა: „რადგანაც საბერძნეთის მთავრობა მზადაა მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანები სადარბაზოდ იყვნენ საბერძნეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში". ამავე დროს მეორე ცნობაც გადმოგვცეს. საბერძნეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რაც კი მის ხელში მეციხოვნე ჯარებია სულ კორფუსაკენ დაიძრას იმავე ლარისში, სოლუნში მყოფ ჩვენი ჯარის ზურგთ უკან".

საბერძნეთში მდგომარეობა უკვე მომწიფდა ლიტონი სიტყვებისთვის კი არა მოქმედებისათვის. სადარბაზოდ უნდა მიდიოდნენ არა დიპლომატები, არამედ მოკავშირეთა შეიარაღებული რაზმები. ჯერ კიდევ დრო არის, მაგრამ თუ კიდევ დავიგვიანეთ, ტატოაშიც ისევე გვიან მივალთ, როგორც სოფიაში დაგვიგვიანდა.

ტრანსილვანიაში

„უტრო როსიის" სამხედრო მიმომხილველი პ. ბურსკი სწერს: „მორნინგ პოსტ"-ის ცნობებიც ადასტურებს, რომ ტრანსილვანიაში ავსტრიელ-გერმანელები დიდძალი ჯარის თავმოყრას უაღრესის ენერგიით განაგრძობენ. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: წინად გერმანელებს, თუ კი საითმე ჯარს დასძრავდნენ, მთელი კორპუსი, მთელის შემადგენლობით გადაჰყავდათ, ეხლა კი გადაჰყავთ სხვა და სხვა არმიიდან გამოყოფილი დივიზიები და პოლკებიც კი. ეს გარემოება იმისი მაჩვენებელია, თუ რამდენად სჩქარობენ გერმანელები ჯარის გადმოყვანას და დროს მოგებას.

მოპირდაპირის ძლიერი ჯარის წინაშე რუმინელების ჯარმა გენ. ილიესკუს მეთაურობით სამხრეთ-დასავლეთის ბრძოლის ხაზზე უკან დაიხია, ტრანსილვანიის ალპებს შეეფარა და მოგერიებითი ბრძოლა იწყო.

ტრანსილვანიის ჩრდილო ნაწილში, როგორც სჩანს, მტერი ძლიერის ძალებით მედგრად უტევს დორნა-ვატრას სამხრეთით. ეს მიდამოები მდებარეობს ბრუსილოვის მარცხენა ფრთის ჯარის სამოქმედო ასპარეზსა და გენ. ილიესკუს რუმინელთა მარჯვენა ფრთის ჯარის შუა. სჩანს მოპირდაპირის მიზანია ეს ორი მოკავშირე ჯარი ერთიმეორისაგან მოსწყვიტოს.

რაკი ფალკენჰაინმა დორნა-ვატრის სამხრეთით მიზნად დაისახა რუსებისა და რუმინელების ჯართა დაშორება კოროსმეზისა და კირლი-ბაბას მხრივ თავის ჯარის უზრუნველსაყოფად, აქაც თავგანწირული იერიშები დაიწყო.

მეორე წერილში იგივე პ. ბურსკი სწერს: დორნა-ვატრას სამხრეთ მიდამოებში მოპირდაპირის მოქმედება ტოლგებისა და ბეკაშის ხეობებისაკენ არის მიმართული. ამ გზით მოპირდაპირეს რუსებსა და რუმინელების შუა შეჭრა ჰსურს, მტრის მეორე გეზი კი კრონშტატიდან პლოეშტისაკენ მიიმართება და, საზღვარ-გარეთულ გაზეთების აზრით, ამ გზით გერმანელებს მიზანში ამოღებული აქვთ რუმინეთის სატახტო ქალაქი ბუქარესტი.

გაზ. „კავკაზის" სამხედრო მიმომხილველი სწერს:

ბალკანეთში სტრატეგიული მდგომარეობა მოკავშირეთა სასარგებლოდ იყო მოწყობილი, მალე ბულგარეთს გასრესდენ და ოსმალეთს გერმანეთისაგან მთლად მოსწყვეტდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საბერძნეთის პოლიტიკურ ვითარების გართულებამ ხელფეხი შეუკრა სალონიკში მყოფ სარაილის ჯარს. ოსმალებმა და ბულგარელებმა მოახერხეს რუმინეთის წინააღმდეგ დიდძალი ჯარის თავის მოყრა. დობრუჯში კი ფელდმარშალმა მაკენზენმა შესძლო მთელი ბრძოლის ხაზით შეტევა განეახლებინა.

რაკი საბერძნეთის პოლიტიკური ბურუსი თან და თან იფანტება და იტალიის ჯარიც სალონიკში მივიდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, აქ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება.

„რ. ინვ."-ის სამხედრო მიმომხილველი გ. კლერჟე სწერს:

თვალსაჩინო და დიდი ბრძოლა გაჩაღდა ჩვენს სამხრეთ-დასავლეთის ბრძოლის ხაზზე კოველიდან მოკიდებული რუმინეთის მიჯნებამდე. როდესაც ფალკენჰაინმა ტრანსილვანიის ჩრდილოეთ ნაწილში (სემიგრადში) შეტევა დაიწყო, იმავე დროს გააჩაღა ამ ხაზზე კირლი-ბაბასთან და დორნა-ვატრასთან შემოტევაც, რათა ჩვენი ჯარი ადგილობრივ დაებანდებინა და ჩვენთვის ხელი შეეშალა ჯარის გადაყვანაში.

შემდეგ თანდათან გაფართოვდა ბრძოლის ხაზი ლვოვ-სტანისლავ-კიროლიმეზოს (მარმაროშ-სიგეტის) მიმართულებით. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით მედგარი ბრძოლა გაჩაღდა კორიტნიცის მიდამოებში. აქ მოპირდაპირე მოწამლულ გაზით გატენილ ხელის ყუმბარებსაც გვიშენდა. ტარნოპოლ-ლვოვის გეზით, ზლოჩოვის მიდამოებშიაც ცხარე ბრძოლაა.

საერთოდ გენერალ ბრუსილოვის ჯარის სამოქმედო ასპარეზზე მილიონიანი ჯარი ერთმანეთს ეხეთქება, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოჰყვეს.

ჰინდენბურგის აზრი.

პოლკოვნიკი რეპინგტონი სწერს: ჰინდენბურგი მართალი იყო, როდესაც ერთ ერთ გერმანულ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა: ენკენისთვე მძიმე თვე იქნება გერმანელებისათვისაო.

გერმანელების ჯარის რაოდენობა.

„რ. ინვ."-ის ცნობებით, გერმანელებს ბრძოლის ველზე მოკავშირეთა წინააღმდეგ ჰყავთ გაყვანილი 110 დივიზია. თითქმის ამ ჯარის ნახევარი ორი ათასი ზარბაზნით სომას მიდამოებში სდგას.

პოლკ. რეპინგტონის აზრი.

„ჩვენი ზარალი განუზომელია. ყოველ ჰერქვეშ შეიჭრა ამაყი სევდა, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს პრუსიის რკინის სისტემასთან და ვერც ერთი მოაზრე ადამიანი ვერ იტყვის, რომ მისი ქედის მოხრა ასე ადვილი და მალე მისაღწევი იყოს.

სომას მიდამოებში.

გერმანელებს სომას მიდამოებში 1 მკათათვიდან 17 ენკენისთვემდე გაუყვანიათ 67 ახალი დივიზია და 17 ბატალიონი. ამათგან 34 დივიზია ინგლისელების წინააღმდეგ გაუყვანიათ, ხოლო 33 დივიზია და 17 ბატალიონი ფრანგების წინააღმდეგ.

—

გუშინდელს „ჟურნალ-გაზეთებში," ერთი წერილი იყო შუმსკისა, ხოლო მეორე (მესამე გვერდზე) **პ. ბურსკისა** და არა **პ. შუმსკისა**, როგორც შეცდომით იყო დაბეჭდილი.

უკანასკნელი დეპეშები

ოდესაში მოსული რუმინეთის სენატორი, რომელსაც განუცხადებია, რომ ბუქარესტის შესახებ გავრცელებული ხმები, ვითომც იგი განსაცდელში იმყოფებოდეს, გაზვიადებულია. ამ მოკლე ხანში პირდაპირი საფრთხე არ ელის, მაგრამ გადაწყვეტილია დასცალონ სამინისტრო, არქივები და საელჩონი.

—

ათინიდან იტყობინებიან: მეფე კონსტანტინე ლარისში აპირებს გადახვლას. იქ გადაიტანეს ზარბაზნები და საომარი მასალა. დროებით მთავრობას იმედი აქვს 50 ათას მოხალისეს თავი მოუყაროს.

—

სატახტო გაზეთის ცნობით გერმანეთის წყალქვეშამ „V 53" გერმანეთის ელჩს მიუტანა ბრძანება, რომლის ძალით მან ამერიკას უნდა მოსთხოვოს მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩარევა. ამერიკას ამ საკითხის შესახებ არ უთათბირნია.

—

რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ: მთავრობა ახალ კანონ-პროექტს ამზადებს, რომლის ძალითაც სახელმწიფო გარდასახადი ხალხმა სულადით უნდა იხადოს და არა ფულით, როგორც დღევანდლამდე იყო.

დეპეშა

რეგულიატორისაგან მიღებული ასი ათასი ფუთი ბესარაბიიის სიმინდი კოოპერატივთა შორის განაწილდა. სასტიკი ზომებია მიღებული 200 ათას ფუთის სიმინდის და 150 ათასი ფუთი მარილის გადმოსატანად. შეკვეთა მიიღება ქუთაისში რეგულიატორის სახელზე.

რეგულიატორის გამგეობის თავმჯდომარე გაბილაია.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა ცხენოსან ჯარის პოლკოვნიკი თ-დ ნათიშვილი, რომელიც დარბაზობის შემდეგ საუზმეზე იქნა მიწვეული.

◆ **მეფის ნაცვლის მეუღლეს** წარუდგა საოლქო სამკურნალო სამხედრო ინსპექტორი ექიმი ი. ზ. გოპაძე.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** და სასახლეში ჩამოხტა პროტოპრესვიტერი სამხედრო და საზღვაო სამღვდელოებისა შაველსკი.

ქართული დაწესებულებანი

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ 100 მანეთი მიიღო საზოგადოების ხაშურის განყოფილებისაგან, ომისაგან დაზარალებულ ლაზების სასარგებლოდ.

◆ **გაჭირვება სოფლად.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებისაგან ომისაგან დაზარალებულ ოჯახების სიები მიიღო. როგორც ამ სიებიდან სჩანს, განსაკუთრებითი საჭიროებს ლიჩისა და ქორეთის 144 ოჯახი, რომელთაც დაუყონებლივ უნდა დაეხმარონ.

◆ **ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის** გამგეობას კრება ექნება დღეს, 12 ღვინობისთვეს. კრების საგანია, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა.

სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დღეები*)

(ისტორიული ამბავი)

რუსეთის იმპერიასთან შეერთების დროს, სამეგრელოში ირიცხებოდა არა უმეტეს 127 ათასი მცხოვრებლისა. საზღვრავდა დასავლეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით ცხენის წყალი, ჩრდილოეთით სვანეთი და მდ. ენგური, სამხრეთით გურია.

სამეგრელოს სვანეთისაგან ჰყოფდა მდ. ენგური, გურიისაგან მდ. რიონი და იმერეთისაგან მდ. ცხენის წყალი.

საქართველოს მეფის ალექსანდრე I დროს სამეგრელო საქართველოს სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, მხოლოდ მერე იმერეთის სამეფოს ნაწილად იქცა და ბოლოს იმერეთსაც ჩამოშორდა და საკუთარ სამთავროდ გახდა.

სამეგრელოს სამთავროს მთავარი ატარებდა „დადიანი"-ს ტიტულს, მისი მეუღლე კი იწოდებოდა „დედოფლად".

დადიანის შვილები ბატონიშვილებათ ითვლებოდნენ.

მთელად სამეგრელოს მცხოვრებნი შესდგებოდნენ მარტო მეგრელებისაგან. მათი ყოფა-ცხოვრება, ზნე ჩვეულება და ფეოდალურ წოდებრივი წეს-წყობილება ბევრით არაფრით განირჩეოდა სხვა ქართველებისაგან.

სამეგრელოში უმაღლეს წოდებას შეადგენენ თავადები, რომლებიც განიყოფებოდნენ ორ ხარისხად: უმაღლე თავადებს ეკუთნოდნენ ისინი, რომლებიც მორჩილნი იყვნენ თითონ დადიანისა, როგორც მეფისა, და სასახლეში სხვა და სხვა სამსახურს ეწეოდენ. მეორე ხარისხისას ეკუთვნოდნენ თავადები, რომლებიც ეკუთვნოდნენ მემკვიდრე ბატონიშვილებს და რომლებიც ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ მათთვის. მეორე ხარისხოვან თავადიშვილებს ეკუთვნოდნენ საპატიო აზნაურებიც, რომლებსაც ეძახდნენ მაშინ—საპატიო კაცებს. მათ შემდეგ ითვლებოდნენ ნახევრად თავისუფალი აზნაურები, რომლებთაც ნაბოძები ჰქონდათ დადიანისაგან საკუთარი მიწა წყალი და სამაგიეროდ უნდა ემსახურათ თითონ დადიანისათვის, ან ეპისკოპოზისთვის და ან კიდევ თავადებისათვის.

სასულიერო წოდების პირთ ეპისკოპოზებს და არხიმანდრიტებს დიდს პატივსა სცემდნენ მეგრელები. მაშინდელ ეკლესიებსა და მონასტრებს დიდ ძალი მამული და გლეხები ჰყავდათ. მაგალითად, მარტვილის მონასტერს, რომელიც ჭყონდიდის რეზიდენციად ითვლებოდა ჰყავდა სამი ათასზედ მეტი მოსახლე გლეხი და მრავალი აზნაური. სამაგიეროთ სოფლის უბრალო სამღვდელოება დიდ სიღარიბეს განიცდიდნენ, ისინი არ განირჩეოდნენ უბრალო გლეხებისაგან, მათი წოდება მათ არ პატივობდათ უბრალო სამუშაოსაგან და გლეხებთან ერთად ემსახურებოდნენ თავიანთ თავადებს. ცოტათ თუ ბევრად შეძლებულ მემამულეს ყველას თავისი საყდარი ჰქონდა. საყდრები სიმდიდრით და სიმშვენიერით არ იყვნენ შესანიშნავნი, მათი გასაღებები ინახებოდა თავადების სასახლეებში. როდესაც წირვა ან სხვა რამ ღვთის მსახურება იქნებოდა საჭირო, გასაღებს მოიტანებდნენ მემამულის სახლიდან, დაუძახებდნენ მღვდელს სამუშაოდან, მღვდელი შემოსებოდა, შეასრულებდა მღვთის მსახურებას და მერე ისევ სამუშაოდ მიდიოდა ან უბრალო მოსამსახურეებთან რჩებოდა. ყოველივე საჭირო საეკლესიო ნივთებიც ეკლესიაში არ ინახებოდნენ, ისინი მემამულის სახლში იყო შენახული და მხოლოდ საჭიროებისამებრ მოჰქონდათ საყდარში. მცხოვრებლების მომეტებული ნაწილნი საბატონოთ ითვლებოდნენ. მათი დიდი ნაწილი ეკუთნოდა თითონ დადიანს, დანარჩენნი თავადებსა და აზნაურებსა.

გლეხობა აქ თავის თავად, ისე, როგორც სხვაგან საქართველოშიდაც, იყოფოდა სხვა და სხვა ხარისხად. უფრო საპატიო გლეხებს შე დგენდნენ ევრედ წოდებულნი „აზათნი". ისინი ასრულებდნენ მემამულესთან უფრო სუფთა სამსახურს და განთავისუფლებულნი იყვნენ მძიმე სამუშაოსაგან. მათ შემდეგ იყვნენ „მსახურნი", რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, ეძლიათ მემამულეთათვის მუშები და აგრეთვე წელიწადში ერთი თუ ორი დღე ერჩინათ მემამულე მთელი მისი ოჯახით და სტუმრებითა.

მათ ქვეით იდგნენ „უბრალო გლეხები". გარდა მუშებისა ისინი ვალდებულნი იყვნენ, ეძლიათ მემამულესათვის ღალა პურითა, ღვინით და ცხოველებით.

სულ უკანასკნელნი იყვნენ „მოჯალაბენი", ე. ი. მონები, რომლებიც შეძენილნი იყვნენ, როგორც ტყვეები ან და იყვნენ ნაყიდნი. მთელი მათი საცხოვრებელი სადებელი მემამულეს ეკუთნოდა.

127,395 სული სამეგრელოს სამთავროს მცხოვრებნი წოდებრივად ასე იყვნენ განაწილებული:

ბატონიშვილები	215	სული	ორივე სქეს.
თავადები .	1,309	„	„
აზნაურები .	10,361	„	„
სასულ. წოდ.	2,340	„	„
აზათები . .	2,875	„	„
მსახური . .	19,935	„	„
გლეხები . .	85,520	„	„
მოჯალაბე .	4,950	„	„

— მთელი გლეხობიდან 14 ათასი სული ეკუთნოდა დადიანს, 15 ათასი ეკლესიას, 22 ათასი ბატონიშვილებს და 60 ათასი თავადებსა და აზნაურებს. გარდა ამისა იყვნენ $1^{1}/_{2}$ ათასამდე გლეხი, რომლებიც გლეხებსავე ეკუთვნოდნენ.

თავად-აზნაურობა მთელად თავიანთ მიწებს გლეხებს ურიგებდნენ და ბევრნი მათგანი საკუთარ სახლ-კარსაც არ მისდევდა, მომეტებულ ნაწილად დროს ატარებდნენ მუქთადა და ნადირობაში. ნადირობის დროს, ხან ერთ თავის ყმას ეწვეოდნენ, ხან მეორეს, უკანასკნელიც უმასპინძლდებოდნენ მათ და ასეთ ცხოვრებაში გადიოდა დრო.

აი რას სწერს ცნობილი მოგზაური შარდენი XVII საუკუნეში სამეგრელოს შესახებ: „მემამულეებს აქვთ უფლება თავიანთ გლეხების, როგორც სიცოცხლეზე აგრეთვე საცხოვრებელზედაც. მიჰყავთ მათი ქალები, ბავშვები, ჰყიდიან მათ ოსმალეთში და რასაც უნდათ იმას უშვრებიან.

თვითეული გლეხი ინახავს თავის ხარჯით მემამულეს ერთი, ორი ან სამი დღე, ამის გამო უმაღლესი წოდების პირნი მთელ წელიწადი მიდიან ერთი გლეხიდან მეორესთან და მათთან სჭამენ და სმენ. თითონ სამეგრელოს მთავარიც ასეთ ცხოვრებას მისდევს, მას თან დაჰყავს მთელი თავისი ოჯახი, მსახურნი, სტუმრები, ელჩები და სხვა ქვეყნების საპატიო პირნიც, როდესაც კი ისინი მასთან არიან ხოლმე. ამასთანავე სამეგრელოს მთავარი აგროვებს დიდძალს სანოვაგეს მცხოვრებლებისაგან.

გზა და გზა ის არჩევს მომჩივანთა საქმეებს, ამისათვის ის მომჩივანთ უნიშნავს ადგილს, სადაც უნდა თითონ ღამე გაათიოს, ან კიდევა და გზებზე დასვენების დროს არჩევს საქმეებს.

როდესაც წაიჩხუბებიან ერთი მემამულის გლეხები, მათ ასამართლებს თითონ მემამულე. როდესაც წაიჩხუბებიან გლეხები სხვა და სხვა მებატონისა, მათ ასამართლებენ მებატონეები. როდესაც თითონ მებატონეები ჩხუბობენ, მაშინ საქმე თავდება ძალით, ვინც ძლიერი და ღონიერია ის მართალია. ორთავე მოპირდაპირენი ერთნაირად მოქმედობენ: ეცემიან მოწინააღმდეგის საქონელს, სახლებს, ყანებს, ცარცვავენ, სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერს რაც კი ხელში მოჰყვებათ, ბოლოს, როდესაც გამოელევათ ყველაფერი, ხელს მიჰყოფენ ხოლმე ვაზებსა, თუთისა და სხვა ხეხილის ხეებს და სთხრიან მათ ძირიანათ. თუ ერთმანეთს შეხვდებიან მოწინააღმდეგენი, მაშინ სასისხლო შეტაკება ხდება. ხშირად ჩხუბში დადიანი ერევა და ის არიგებს მათ, მაგრამ ასეთი გარიგება დიდი ხნის არ არის ხოლმე და ცოტა რამ არის საჭირო, რომ ხელახლავ გაჩაღდეს ჩხუბი.

სამეგრელოში არ არის არც ერთი თავადი, რომ არა ჰყავდეს მტერი და ამისათვის ყველა მათგანს ახვევია შეიარაღებული მსახურნი.

სწორედ ასევე აღწერს სამეგრელოს ცხოვრებას ცნობილი მოხელე ლიტვინოვი, რომელიც 1804 წელს ციციშვილისაგან იყო გაგზავნილი იმერეთსა და სამეგრელოში.

1774 წლამდის იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი ოსმალეთის ვასალურ დამოკიდებულებაში ითვლებოდნენ, რომელსაც ხარკად აძლევდნენ ახალგაზრდა ბიჭებსა და ქალებს, რაც საქართველოს ისტორიაში საზიზღარ ჩვეულებათ არის აღნიშნული

10 ივლისს, იმავე წელს ქუჩუკ-კაინარჯის ტრაკტატმა განათავისუფლა იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი ოსმალეთის უფროსობისაგან და ყველა ეს სამფლობელოები თავისუფალნი გახდნენ. სამეგრელოსა და იმერეთის შორის ხშირად იყო ხოლმე უთანხმოება. 1803 წელს ამ უთანხმოებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. მიზეზი ლეჩხუმი გახდა, რომელსაც დადიანი იჩემებდა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორე კი არ უთმობდა. ამ საქმის გამო დადიანმა დახმარება სთხოვა რუსის მთავრობას და აგრეთვე სთხოვდა მიეღო მისი სამთავრო მის ქვეშევრდომობაში.

1 ქრისტეშობისთვეს, 1803 წელს, დადიანის სურვილი ასრულებულ იქმნა, მთავარი თავ. გრიგოლ დადიანი მიღებულ იქმნა რუსის მფარველობის ქვეშ და მონა მისმა ერმა რუსის ერთგულებაზე ფიცი მიიღო. გრიგოლ დადიანს ებოძა გრამოტა, წმ. ალექსანდრეს ორდენი, სახელმწიფო დროშა და ხმალი ბრილიანტებით მორთული. გრამატის ძალით სამეგრელოს სამთავროს ავტონომია მიენიჭა.

შესანიშნავია ისა, რომ სამეგრელო ერთადერთი ნაწილი იყო საქართველოსი, რომელმაც მიიღო თუ არა რუსის მფარველობა, მეტად შეიყვარა და შეითვისა იგი.

ავ. აბესაძე.

(შემდეგი იქნება).

---

*) Утвержденіе Русскаго владычества на Кавказѣ. ст. 481. т. 12. Акты Кавказ. Арх. комитета.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ **სექციის სხდომა.** დღეს, 12 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ საკოოპერაციო სექციის სხდომაა დანიშნული. კრება მოისმენს ინსტრუქტორ მალ. ტოროშელიძის მოხსენებებს და განიხილავს მორიგ საქმეებს.

✦ **საქართველოს ექსარხოსთან** გუშინ სადარბაზოდ იყო, სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერი შაველსკი. ექსარხოსმაც გუშინვე გადუხადა სამაგიერო დარბაზობა პროტ. შაველსკის სასახლეში.

✦ **ახალი კლუბის დარბაზში** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, დანიშნულია კრება ყველა კლუბების წარმომადგენლებისა, სატრახტირო გადასახადის განაწილების თაობაზე.

ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ფულის გაფლანგვა.** ქალაქის გამგეობის საბუღალტერო ნაწილის მსახური არკადი პეტრეს ძე ლუნკევიჩი, ბიძაშვილი ხმოსან მ. ვ. ლუნკევიჩისა მკათათვიდან სადღაც გადაიკარგა. ეხლა როგორც გამოირკვა მას ინჟ. ი. სოფ. ვაცაძის მაგიერ ხელი მოუწერია 1060 მან. ავანსზე, ქალაქის კასიდან მიუღია ეს ფული და მიმალულა. მის ბიძას, ხმოსან ლუნკევიჩს ეს ფული აუნაზღაურებია კასისთვის. როცა მის ბიძაშვილს გაუგია, რომ ფული უკვე შეტანილია კასაში, დაბრუნებულა თბილისს. აქ იგი გუშინ შეიპყრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს.

✦ **ქალაქის მოურავმა** გუშინ დაიბარა მეპურეთა უსტაბაშები და გამოუცხადა, თუ პურზე ნიხრს არ დაიცავთ და მეორე ხარისხის პურს პირველ ხარისხის ნიხრით გაჰყიდით, მაშინ ორთავე ნიხრის პურზე ერთ ფასს დავაწესებო.

სხვა და სხვა ამბები.

✦ **კრების გადადება.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით ამ დღეებში უნდა მომხდარიყო ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთა და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც ღონისძიებანი უნდა გამოეძებნა ომიანობისაგან გამოწვეულ ათასგვარ გაჭირვებასთან საბრძოლველად. აღნიშნულმა საზოგადოებამ წარსულ ენკენისთვის შუა რიცხვებში აღძრა შუამდგომლობა კრების ნებართვის შესახებ, მაგრამ ნებართვა ჯერაც არ მიუღია. ამის გამო 10 ამა თვეს საორგანიზაციო ბიურომ გადასწყვიტა კრება გადაიდვას 21 გიორგობისთვემდე.

✦ **დღეს სახალხო სახლში** თბილ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰანტურაშვილის „მორევში“ და „გულმა იგრძნო“.

✦ **კოოპერატივმა „შრომამ“,** რომელიც ახლად დაარსდა თბილისში, 12 ვაგონი სიმინდი შეიძინა ბათომში ქუთაისის კოოპერატივ „რეგულიატორისაგან“ 2 ვაგონი ამ სიმინდისა უკვე მიღებულია, ხოლო 10 ვაგონს ამ დღეებში მოელის.

✦ **უნახშირობამ** დიდი გაჭირვება ჩამოაგდო თბილისში. ოჯახის დედაკაცები დილა ადრიან ვერის ზემოდ, ეგრედ წოდებულ, „თეთრ დუქნამდე“ მიდიან, იქნებ მენახშირეებს შევხვდეთ და ვიყიდოთო, მაგრამ ვერას ხდებიან. ნახშირი არ შემოდის სოფლებიდან და თუ ცოტა-რამ მოდის, ისიც ჩარჩებს უვარდებათ ხელში.

✦ **საფსიხიატრო საავადმყოფო სურამში..** კერძო მამულების პატრონებმა, რომელნიც უთმობენ საფსიხიატრო საავადმყოფოს სურამში თვის მიწებს წარუდგინეს ამ მიწების პლანები წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულს ბ. გოლუბევს და სატეხნიკო ნაწილის უფროსს ბ. პერცოვს.

✦ **გეოგრაფიული საზოგადოება.** 10 ამა თვეს გეოგრაფიულ საზოგადოების საგანგებო კომისიას კრება ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ ბ-ნნი სნარსკი, შიმანსკი, კუჩინსკი, ანოხინი, გედომსკი და ზავალშინი. კრებაზე შემუშავებულ იქმნა საერთო გეგმა ახლად გასაყვან რკინის გზებისა. კომისიამ საჭიროდ სცნა პირველ ხანად, 5 წლის განმავლობაში, გაყვანილ იქმნას შემდეგ მთავარი გზები: 1) კავკასიონის ულელტეხილზე, 2) ქერჩი-ტუაპსე, 3) ბათომი-ყარსი-ბულდაშენი, ანუ არეზი, 4) ბორჯომი-ყარსი-ოლთა, 5) შუა კავკასიისა (წნორის წყლიდან ასტარამდე), 6) ბათომ-ტრაპიზონი, 7) ალიათი—ჯულფა და სხვ. ტოტები მთავარი ლიანდაგებისა: 1) ქიათურისა, 2) არეზ-კულპი, 3) ტყვარჩელისა, 4) სამტრედია—ხონი, 5) ოზურგეთ-ნატანები, 6) გროზნა—„სტარიე პრომისლა“ და სხ.

✦ **ქალაქთა კავშირის** ბაქტერიოლოგიური რაზმი ბაქოდან თბილისში გადმოდის.

✦ **„ბაღის-უბნის“** დამაარსებელთა საზოგადო კრება დანიშნულია 15 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში. კრება მოისმენს ინჟინერ ლ. ნ. დიასამიძის მოხსენებას წევრთათვის ბინების აშენების შესახებ. აგრეთვე კრებამ უნდა მოისმინოს სამოქმედო გეგმის პროექტი და მიმდინარე საქმეები.

✦ **მაკარონი და ვერმიშელი** ერთობ გაძვირებულა. ერთიცა და მეორეც ფუთი დონის როსტოვში ფასობს 8 მან.

✦ **ღვინის აქსიზის გადიდება.** 11 ამა თვიდან ღვინოზე დადებული აქციზი ერთი სამად გადიდდა. ნაცვლად ორი შაურისა ბოთლ ღვინოზე დაწესდა ექვსი შაური.

✦ **რუსი მწერალი ბ-ნი კუპრინი** თბილისიდან ბაქოს წავიდა, საცა რამდენიმე ლექციას წაიკითხავს და შემდეგ რუსეთში წავა.

✦ **ხელსაყრელი შანტაჟი.** ამ დღეებში, თბილისის თითქმის ყველა ქუჩებზე, ნამეტნავად კი ნაძალადევსა და სხვა განაპირა უბნებში ერთი ყვირილით და განგაშით არიგებდნენ ფურცლებს, „ახალი კანონი თეთრ ბილეთებიანებზე და მოლაშქრეებზეო“. რასაკვირველია, როგორც ბუზი თაფლს, ხალხი ისე იტაცებდა ამ ფურცლებს და 10 კ. ნაცვლად, როგორც ზედ ეწერა ამ ფურცლებს ერთი ორად და სამად მეტს იხდიდა გულუბრყვილო ხალხი. ეს შანტაჟისტური ფურცელი იწყობოდა ამ სათაურით: „გადაბეჭდვა აკრძალულიაო“. შემდეგ „ახალი კანონი თეთრბილეთებიანისა და მოლაშქრეთა ჯარში გაწვევაზე და „სია იმ ავადმყოფობისა, რომელიც ანთავისუფლებს ამათ სამხედრო ბეგრის მოხდიდან“. 83 მუხლის ქვევით დაბეჭდილია: „ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან“. სტამბა „ეპოხა“ მუხ. ქ. № 3. გამომცემლები მ. ისტულიანი და ა. აგადჟანიანი“. ამ ფურცლებმა ძილი დაუფრთხო სამხედრო ბეგრის საკრებულოების ხელმძღვანელთ. ხალხი პირდაპირ სახლში უცვიოდა და განმარტებასა სთხოვდა მათ ამ ფურცლების შესახებ. ბოლოს მათ უპასუხეს, რომ ეს ფურცლები გადმობეჭდილია დაძველებულ კანონიდან და მეტი არაფერიო, რომ ეს კანონი გამოცემული ჯერ ისევ 1883 წელს ოთხჯერ იქმნა შეცვლილი და 1915 წელს კვლავ დამატებულიო.

სომეხთა შორის.

ლტოლვილთა ახალი ტალღები. მთავრობას საჭიროდ უცვნია, რომ გამოქცეული სომხები გამოისტუმროს ხნისიდან, ერძინჯანიდან, ბაიბურთიდან და სხვა ადგილებიდან ყარსის ოლქში. ამბობენ, ლტოლვილთა დიდძალი რიცხვი მოაწყდება ყარსის ოლქსაო. გადმოხვეწილთა სვე-ბედის გამგე ბ-ნ. თამამშევი შეჰკითხებია სომეხთა ცენტრალ კომიტეტს, ხომ არ იკისრებთ ამ ხალხის მოვლა-პატრონობასო? კომიტეტს თანხმობა განუცხადებია და ხარჯთაღრიცხვის შემუშავებას შესდგომია.

✦ **ფულის გადადება.** გენერალ თამამშევის განკარგულებით სომეხთა ცენტრალ კომიტეტს მიეცემა 315,000 მანეთი, რომელიც მოხმარდება სომეხთა ობლების თავშესაფართა ხარჯების დაფარვას წარსულ მკათათვეს, მარიამობისთვესა და ენკენისთვეში.

თელავი.

— აქ თეთრი პური აღარ იშოვება და მის ბადლად წითელი მჭად-პურა კი ბევრი ცხვება.

— პირველი აღმართის ქუჩის მცხოვრებთ განიზრახეს სასმელი წყლის გამოყვანა, ყველა მეკომური შეძლების დაკვალად დიდი ხალისით იღებენ ფულებს ამ საკეთილო საქმისათვის, რომ მით აიცდინონ შორიდან წყლის ზიდვა.

— 7 ამ თვეს, ახლად შელამებულზედ პოლიციელებმა შეამჩნიეს ვინმე მესხიევი, რომელსაც მხარზე გადაკიდებული ახლად გატყავებული კამეჩის ტყავი მიჰქონდა დაბახანისკენ, ის მაშინვე დაატუსაღეს. ტყავის პატრონის ვინაობა კი ჯერჯერობით ვერ გაუგიათ.

— ელექტრო-თეატრ „ლირა“-ს მოტორი მოიშალა და ეს რამდენიმე დღეა დაკეტილია.

სოფ. ქაქუთი (ბათომის ოლქი). ქაქუთის სოფლის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანები არიან. ამ სოფელში სასოფლო სკოლაც არსებობს და მოსწავლეები მთლად ქართველი მაჰმადიანები არიან. სოფლის სკოლის მასწავლებელი რაჟდენ კონტრიძე წერილს იწერება და ქართველ საზოგადოებას ხსენებული სოფლის სკოლის ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებისათვის, ქართულ წიგნებს ითხოვს, ნამეტურ ისეთ წიგნებს, რაც ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას ეხება. ამას გარდა „ყურანს“ და სხვა წიგნებს.

— ქართველ მაჰმადიანების შესახებ, ამ ჟამად ზ. ჭიჭინაძე ბეჭდავს მეხუთე წიგნს, რომლის გამოცემაც უკისრნია ხელოსან იოსებ ჯანაშვილს. წიგნში მოთავსებული იქნება შემდეგი წერილები: 1) ქართველ მაჰმადიანთ დილიური ლოცვები 2) წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთ ზეპირის ამბებით. 3) ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება. 4) ქართველ მაჰმადიანთ სახალხო ლექსები. 5) ალი ფაშა თავდგირიძე. 6) ქართველ მაჰმადიანთ ბეგები ითხოვენ თავიანთ წოდების აღდგენას. 7) ქართველ მაჰმადიანთ ცრუ-მორწმუნოება. 8) ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი და ხიმშიანთ გვარის ამბავი. 9) ქართველთ მაჰმედიანთცხოვრების იარები. 10) სელიმ ფაშა ყიფიანი და სხვა წერილები დღემდე დაუბეჭდავნი.

ომი და ლიტერატურა

ამ სათაურით რუსულ გაზეთ „რეჩ“-ში მოთავსებულია შემდეგი მიმოხილვა:

ომმა მრავალ მხრივ დაგვიმტკიცა ოსკარ უაილდის დებულება, რომ ცხოვრება უფრო ბევრში ჰბაძავს ხელოვნებას, ვიდრე ხელოვნება ცხოვრებასაო.

მაგ. რას წარმოადგენს დღევანდელი გერმანელების წყალქვეშა „დეუჩლანდი“? ეს ხომ ჟიულ ვერნის რომანში აღწერილი „ნაუტილუსია“ ე. ი. განხორციელება მწერლის იდეისა. 30—40 წლის წინათ მწერლის ოცნებამ დაგვისახა პრინციპი წყალ-ქვეშასი და აი ცხოვრებამ უკვე ხორცი შეასხა მას.

წყალ-ქვეშათა იერიში ხომ ჯერ კიდევ ინგლისელ რომანისტმა კონანდოილმა აღწერა თავის „საშიშროებაში“. ომი არც კი იყო დაწყებული, რომ ხსენებულმა ავტორმა დაწვრილებით დაგვისურათა ესეთი საზღვაო ბრძოლა.

ცეპელინებიც ჟიულ ვერნის ოცნების ნაყოფია და ჰაერში ბრძოლა სხვა და სხვა საჰაერო მანქანებისა საკვირველს, წინასწარმეტყველებრივს განჭვრეტი დიდი ხანია აგვიწერა ინგლისელმა რომანისტმა ჰერბერტ უელსმა. თვით შხამიანი ბოლის ხმარებაც ომის დროს, ესეც კი იმავ ოცნება-მდიდარ ჟიულ ვერნის მიერ არის პირველად სურათებათ გამოთქმული.

საყურადღებოა ისიც, რომ თვით ზოგიერთი ეპიზოდიც დღევანდელ გრანდიოზულ ომისა ბევრ ინგლისელ მწერალს დიდი ხანია აწერილი აქვს და გამოთქმული. თუმცა მათ ნაწარმოებთა შინაარსი სრულიადაც არ ეხებოდა მსოფლიო შეხეთქებას, ხალხთა ბრძოლას.

რომ დაუკვირდეთ, გვგონებათ თითქო რაღაც საიდუმლო კავშირი არსებობს ზოგიერთ მწერლის ოცნება წარსულში და ცხოვრების სინამდვილესთან მომავალში.

ამ მოკლე ხანში მაგ. ინგლისელებმა სომმას ბრძოლაში უზარმაზარი, ახლად გაკეთებული ავტომობილები გამოიყენეს. ამბობენ, რომ ეს ავტომობილები სწორედ რომ ხმელეთის დრედნოუტებს წარმოადგენენო. ესეთი ტიპის მანქანა კი უელსს აქვს აწერილი და სახელად „ხმელეთის ჯავშნოსნებს“ უწოდებს.

ეხლა ის ღა დარჩენია კაცობრიობას, რომ იმავ უელსის მიერ ოდესღაც აწერილი მწვავე სხივებიც გამოიგონოს და ამით კიდევ უფრო განამტკიცოს ხსენებულ ავტორის აზრი, რომ დღევანდელ ომში პირადი ვაჟკაცობა და ფიზიკური ძალა კი არ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას, არამედ ტეხნიკა, მეცნიერება და აუარებელი რკინა და ფოლადი. რომ დღეს ჯარის კაცი კი არ არის საჭირო, არამედ მექანიკოსები.

ამ გვარად ცხოვრება დიდათ ჰბაძავს ხელოვნებას და ეს დღევანდელმა ომმა კიდევ უფრო თვალ-ნათლივ დაგვიმტკიცა.

ქალაქის საბჭო

10 ღვინობისთვე

კრება გახსნა ქალაქის მოურავმა ა. ხატისოვმა, ღამის 8 საათ. 30 წ.

ხმ. ა. ნ. ათაბეგოვმა უმცხვარი პურის ნაჭერი წარმოადგინა, რომელიც მუხრანისა და პუშკინის ქუჩების შესართავში არსებულ ფურნიდან ყოფილა გაყიდული პირველი ხარისხის სახით და საფასურით. ხმოსანმა განაცხადა, რომ მარტო ეს ფურნე როდი ჰყიდის ასეთ პურს, არამედ სხვებიცაო და შეეკითხა გამგეობას, იცით თუ არა თქვენ ეს გარემოება და თუ იცით, რა ღონისძიებას თხოულობთ ამის წინააღმდეგო?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი** ასეთ მოვლენას იმით ხსნის, რომ თბილისში თეთრი ფქვილი ცოტაა, ხოლო ზრილია („რაზმოლი“) ბევრი და ამიტომ თეთრი პური ნაკლებად ცხვება. მაგრამ ორატორის აზრით ეს მეპურეებს არ აძლევთ უფლებას უმცხვარი პური ჰყიდონ და ისიც პირველ ხარისხის ფასებში. ასეთი ბოროტმოქმედების მოსასპობლად ბ-ნი ხატისოვი სთხოვს ხმოსნებს და საერთოდ ქალაქის მცხოვრებლებს, რომ როცა ასეთ უკანონობას შეამჩნევენ, მაშინვე აცნობონ ეს ქალაქის აგენტებს და ან პოლიციას ოქმის შესადგენად.

ხმ. ბაზოვი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ასეთ ოქმებს, რადგან მათი შედეგი ერთობ მცირეა, უმეტეს შემთხვევაში-კი უშედეგოდ რჩება ეს ოქმები. ხმოსანის აზრით მთელი ბოროტება იმაშია, რომ უვარგისი ფქვილი ვრცელდება და გამგეობა ამ მოვლენას უნდა ებრძოლოს.

ხმ. კოვალენსკის ძალიან უკვირს, რომ ასეთ უპურობის დროს საქალაქო ფურნეებში გამომცხვარი კარგი ღირსების პური გაუსყიდველი რჩება და ეკითხება გამგეობას, რა არის ამის მიზეზიო?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი** ადასტურებს ასეთ უცნაურ მოვლენას და ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ქალაქს თავისი დროგები და ქირით აყვანაც თავის დროზე არ ხერხდება, რომ გამომცხვარი პური დროზე დარიგდეს საქალაქო დუქნებში.

ხმ. რამიშვილი აცხადებს, რომ მეპურეები პირველ ხარისხის პურად ასაღებენ მეორე ხარისხისას და თხოულობს, მოისპოს ასეთი უკანონობა.

ხმ. ბაზოვი თხოულობს, რომ პურისა და საერთოდ სურსათის ნიხრი ხშირ-ხშირად იქმნას გადათვალიერებული და როცა კი საჭირო დარჩება, ხელად შეიცვალოს. ორატორი ურჩევს გამგეობას, რომ თუ მართლა არ მოიპოვება თბილისში თეთრი ფქვილი, პირველ ხარისხის პურის ნიხრიც გაუქმდეს, რათა მეპურეებს მოესპოთ საბაბი უკანონო მოქმედებისა.

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი** ეთანხმება ორატორს და აცხადებს, რომ ნიხრის შეცვლა ყოველთვის შეგვიძლიანო.

შემდეგ საბჭო დაუბრუნდა წინა კრებაზე შეწყვეტილ საკითხის განხილვას ტრამვაის ტარიფის გადიდების შესახებ და კამათი განახლდა. პირველად გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ხმ. ი. მ. დოლუხანოვმა და თავისი სიტყვა იმით დააბოლოვა, რომ ტარიფი უნდა გადიდდესო. შემდეგ კიდევ 17-დე ხმოსანმა ილაპარაკა, მაგრამ ახალი აზრი არავის გამოუთქვამს. კამათი 12 საათამდე გაგძელდა, მაგრამ საკითხი ისევ გადაუწყვეტელი დარჩა. დიდძალ ხმის უმრავლესობით დადგენილ იქმნა საკითხი დაუბრუნდეს გადასათვალიერებლად და ახალი მოხსენების შესამუშავებლად გამგეობისა და საბიუჯეტო-საფინანსო და სატრამვაიო კომისიების შეერთებულ კრებას.

ღია წერილი

პატივცემულ დამსახურებულ მსახიობ ვ. გუნიას.

პატივცემულო ვალერიან! სურამის დრამატიულ საზოგადოებას ღრმად სწამს თქვენი გულ-წრფელი დაუღალავი მუშაობა და, ეროვნულ დრამატიულ ხელოვნების სასარგებლოდ თავგანწირული მოღვაწეობა; სწამს, რომ თქვენ ხართ ნამდვილი გულ-წრფელი ადამიანი, ქართველ ერის ბედის ერთი საუკეთესო გულ-შემატკივარი და მის ავ-კარგის პასუხის მგებელი და მანუგეშებელი!

გიცნობს რა იგი თავის საზოგადოების საპატიო წევრად, რომელიც არა ერთხელ გაჭირვების დროს თქვენ კალთის ქვეშ ამოგიფარებიათ, თქვენი ავადმყოფობის გამო, ღრმად დამწუხარებული, გიგზავნით თავის გულწრფელ თანაგრძნობას და გისურვებთ, რომ ყოველ გვარ სენისაგან მალე განკურნებულიყვეთ, რათა კვლავ თქვენის შეურხეველი ენერგიით განაგრძოთ ჩვენი ეროვნული დრამატიულ ხელოვნების სასარგებლოდ მოღვაწეობა.

ამასთან ერთად ჩვენი საზოგადოება, გიგზავნით რა საჩუქრად ოც მანეთს, ბოდიშს იხდის თქვენს წინაშე, რომ მან ჯერ-ჯერობით თავის ნივთიერ უქონლობის გამო ვერ შესძლო ამაზედ მეტი მოეძღვნა.

სურამის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **მ. იონათამიშვილი.**

სამხედრო ბეგარა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. დ. პროტოპოპოვმა სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით სამხედრო უფროსებს აცნობა, რომ სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალნი არიან 1903 წლისა და წინა წლების თეთრ-ბილეთიანები, აგრეთვე წითელ და ლურჯ-ბილეთიანები, თუ ამ პირთ შტატის მოსამსახურეთა ადგილები უჭირავთ გუბერნატორისა, გრადონაჩალნიკისა, ოლქის უფროსებისა და საგუბერნიო და საოლქო საკრებულოს კანცელარიებში.

სამაზრო და სამხედრო საკრებულოებსა და საპოლიციო სამმართველოებში შეღავათი მიეცემა, როგორც შტატში მყოფ მოხელეთ, ისე კანცელარიის მოსამსახურეთ.

—

შეღავათის აღმომჩენმა მთავარმა კომიტეტმა განმარტა, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს შეღავათი უნდა მიეცეს ყველა იმ სტამბისა და ლიტოგრაფია-ცინკოგრაფიის მოსამსახურეებს, რომელნიც სასწავლო სახელმძღვანელოებს ბეჭდავენ.

—

მთავარ საგენერალო შტაბის განკარგულებით 1894, 1895 და 1896 წლების წითელ-ბილეთიანებს და 1901, 1902, 1903, 1904 და 1905 წლების ლურჯ-ბილეთიანებს შეღავათი არ მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი 1913 წლის 15 ივლისის შემდეგ შევიდნენ ისეთ დაწესებულებაში, რომელშიაც სამსახური სამხედრო ბეგარისაგან ანთავისუფლებს.

—

სახალხო განათლების სამინისტრომ სამოსწავლო ოლქების უფროსთ ცირკულიარი დაუგზავნა, რომლიდან შემდეგი სჩანს:

სასწავლებელსა და სამოსწავლო ოლქის რომელიმე დაწესებულებაში მოსამსახურე თეთრ-ბილეთიანები ხელმეორედ შესამოწმებლად აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ 1915 წლის 10 ნოემბრის კანონის ძალით. თავისუფალნი არიან გამოცხადებისაგან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მოხსენებულნი არიან სამხედრო წესდების მე-98—101 მუხლში და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც სამხედრო წესდების მე-35 მუხლში ჩართულ სიაში ნახსენები ადგილები უჭირავთ.

ამიტომ ჯარში გაწვეულ თეთრბილეთიანებს სათანადო მთავრობამ უნდა მისცეს მოწმობა ვინაობისა, სამსახურისა და სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების საჭიროების შესახებ. ამ საბუთების ძალით ექვსის კვირის თავისუფლება მიეცემათ იმ თეთრბილეთიანებს, რომელნიც სამსახურისთვის შესაფერისად იქნებიან ცნობილნი. თავის მხრით სამოსწავლო მთავრობამ სახალხო განათლების დეპარტამენტის წინაშე საჩქაროდ შუამდგომლობა უნდა აღძრას, რათა ამა თუ იმ პირს შეღავათი მიეცეს.

შეღავათის მიმცემი მთავარი კომიტეტი განმარტავს:

შეღავათის შესახებ შუამდგომლობანი ყოველთვის განხილულ უნდა იქნეს ხოლმე ადგილობრივს სამაზრო და სამოქალაქო კომიტეტებში. მთავარი კომიტეტი განიხილავს მხოლოდ საჩივრებს ამ კომიტეტებზე. საჩივარი მთავარ კომიტეტს უნდა წარედგინოს იმ კომიტეტთა ხელით, რომელთაც უჩივიან.

ამასთანავე კომიტეტი აცხადებს, რომ შეღავათის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული ის კი არა, ამა თუ იმ პირის მაგიერობის გაწვევა შეიძლება თუ არა, არამედ ის, თუ ესა თუ ის პირი რამდენად საჭიროა იმ დაწესებულების საქმეთა . წესიერ მსვლელობისათვის, რომელიც სახელმწიფო დაცვას ემსახურება.

სოფლად

II

კახეთი

16. ალაზნის ველის სივრცე და მცხოვრებთა რიცხვი.

ალაზნის ველი იწყობა სოფ. მატაანახმეტიდან და უწევს ალაზნის მარჯვენა მხარე შირაქის მიდამოებამდის, მარცხენა მხარე-კი, თუ სიღნაღის მაზრას გავცდებით, მაშინ ზაქათალის მხარეს და საინგილოს ადგილებამდის მივაღწევთ, სადაც ერთვის მდ. ალაზანს აგრისის წყალი (აგრი ჩაი).

ალაზნის მარცხენა მხარეს სიგძე აქვს 110 ვერსი, მარჯვენა მხარეს კი 150 ვერსი. სიგანე ახმეტასთან ხუთი ვერსი ექნება, ხოდაშენ-ნაფარეულთან 17 ვერსია და საქ[illegible]დეხამდის კი 30 ვერსია.

—

მთელ ამ სივრცეზედ გარდა საინგილო-ზაქათალის მხარისას გაშენებულა სოფლები სიღნაღის მაზრისა 78, ელდარის, თუქურმიშის, მუღანლოს, კაკაბეთის და ქოდალოს საზოგადოებების სოფლებს არ ვთვლი, რადგან მაზრის სხვა მხარეს მდებარეობენ, ამასთანავე მთელი თელავის მაზრის სოფლებია გაშენებული და შეადგენს 74-ს და თიანეთის მაზრიდანაც 9 სოფელია გაშენებული.

მაშასადამე, ამ 161 სოფელში ცხოვრობს 31,286 კომლი.

—

ეროვნულად განიყოფებიან ასე: რუსები შეადგენენ 1246 კომლსა, სომხები არიან სოფლად 760 კომლი, ოსები მოსახლეობენ 656 კომლი და თათრები და ლეკებიც იქნებიან 516 კომლი, მაშასადამე, დანარჩენი 28108 კომლი ქართველები არიან.

თელავში და სიღნაღში მცხოვრებნი ითვლება 5250 კომლი, ამათში ქართველები არიან 1180 კომლი, დანარჩენი კი სომხები არიან, ესე იგი, ამ ორ მაზრაში სომხები არა ნაკლებ 5030 კომლი იქნება.

სოფლად მცხოვრებთა რიცხვი და ეროვნება სხვა და სხვა ოფიციალი ჩვენებები ერთი-ერთმანერთს ეწინააღმდეგება და შეუძლებელია მათზედ დამყარება, მაგალითად სოფ. ველისციხის მცხოვრებნი 1200 კომლი ნაჩვენებია სომხებათ, დანამდვილებით კი ერთი წილი ქართველები არიან და სამი წილი კი სომხები, აგრეთვე თელავისა, სიღნაღისა, რომელიც ერთი მეხუთედი მაინც ქართველები შეადგენენ, სულ სომხებათაა ნაჩვენები.

—

სიღნაღის მაზრაში, ესე იგი, ქიზიყის სოფლებს სახაზინო მამულები, რომლებსაც ოფიციალი ცნობები გვიჩვენებს, შემდეგში გამოიხატება:

1. ანაგაში—850 კ.—6039 დ. 620 კ. ს.
2. ვაქირი—953 კომლი—9570 დ.
3. საქობოში—950 კ.—8038 დ 500 კ. ს.
4. მაშნაარში—250 კ.—1080 დ.
5. ბოდბეში—983 კ.—26850 დეს.
6. ბოდბის ხევი—1200 კ.—11500 დ.
7. მაღაროში—445 კ.—10656 დეს.
8. არბოშიკი—339 კ.
9. მირზაანი—631 კ. } 19401 დ. 250 კ. ს.
10. წულუკაანი—97 კ.
11. ზემ. მაჩხაანი—965 კ.—22400 დ.
12. ქვემ. მაჩხაანი—569 კ.—13740 დ.
13. ჯუგაანი—659 კ.
14. ტიბაანი—342 კ.
15. პრასიანი—105 კ. } 15900 დ.
16. ოზაანი—186 კ.
17. კოტაანი—114 კ.
18. ქედელი—189 კ.—1700 დ.
19. ასანური—206 კ.—1080 დ.

მთელი ჯამი 9778 კ.—147957 დ.

რასაკვირველია, ამ მამულში შედის უფრო საძოვარი, აგრეთვე ბუჩქნარი ტყეები და უვარგისი ადგილები, ასე რომ თუ კომლზედ მოდის 15 დ. 300 კ., თითქმის ამის ნახევარი სახნავი არც კი იქნება.

—

კახეთის მკვიდრნი მემამულენი არიან ალაზნის გაღმა ადგილებში: ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ჯანდიერიშვილები, ჩოლოყაშვილები, ქავჭავაძეები, ქობულაშვილები, ვახვახიშვილები, რუსიშვილები და მაყაშვილები; ალაზნის გაღმა კი ფლობელობენ: ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, ვახვახიშვილები, ყარალაშვილები, ჯორჯაძეები და ყორჩიბაშ-ტუსიშვილები.

და ამ მემამულეთა შორის შემოსულები არიან: აბაშიძეები. ავალიშვილები, ერისთავი, აფხაზი, ლეონიძე, ბარათაშვილი და სხვა.

ქართლის არე-მარე უფრო სხვა-და-სხვაობას წარმოადგენს და ბუნებაში შეაქვს სიფიცხე, კახეთი კი უფრო ერთნაირ და ერთიანი მხარეა და მისი ბუნებაც უფრო დარბაისელნი და დინჯნი არიან, ვიდრე ქართლისანი, მხოლოდ რუსულ ენაზედ უყვართ ბაასი, ქართულათ ელაპარაკები, რუსულათ გაძლევენ პასუხსა.

რა უყოთ, საზოგადო სენია და ესეც მათ ეპატიება!

და რაც შეეხება აქაურ გლეხებს, მეტადრე სიღნაღის მაზრაში, როგორც ქართლის დამონებულ დაბეჩავებულ გლეხებს, აქ ვერ შეხვდებით, ესენი მესამე წოდებას წარმოადგენენ, ესე იგი თ-დ-აზნ. და გლეხებს შორის ესენი მესამე წოდებად უნდა ჩავთვალოთ.

ქიზიყელს ერთის შეხედვით შეატყობთ, რომ მათ ბატონ-ყმობის სიმწარე არ განუცდიათ, მათ მიხვრა-მოხვრაში, მათ სიტყვა-პასუხში, მათ გამომეტყველებაში ლაღი ადამიანი სჩანს.

მათ ლაპარაკში ვერ გაიგონებთ: „ბატონო ჩემო“, თავს არ მოგიხრიან. გარეგნობით ჩასხმული, კუშტი, ჯმუხი ხალხნი არიან; ლეკური შალის ჩოხა, განიერი შალის შალვარი წინდა პაჭიჭით მორთული, ნაბდის ქუდი კეფაზედ მიკრული, წელზედ ვერცხლის ქამარი შემოკრული, როგორც ტალიკტალიკი ბიჭები—ისეთი შეხედულობა აქვთ.

17. ქიაურის ტყე და რუსის სოფლები.

სიღნაღიდან ჩემი თანამგზავრებით თ-დ ალ. ს—ლი და ნაფიცი ვექილი გ. კ—ლი გავემგზავრეთ ეტლით კაბალოსკენ, სადაც ჩვენი დანიშნულება იყო. ჩემმა თანამგზავრებმა გამიადვილეს მგზავრობა, რადგან ჩემთვის უცნობი იყო აქეთი მხარე.

ლამაზია გზა, სიღნაღიდან დაბლა სოფლებისკენ რომ ეშვება და ლარივით გაჭიმულა ალაზნის ველზე სადგ. წნორის-წყლიდან—ვიდრე ალაზნის ხიდამდის.

ეს ის გზა-ტკეცილია, რომელიც ზაქათალისაკენ მიემართება.

მდ. ალაზანი მდორეთ მიდის, ღვრიე და ლამიანია, მის ნაპირებზედ ერთ სიპ ქვას ვერ ნახავთ, სამაგიეროთ კი ორაგულს და ლოქოს ბევრს შეხვდებით.

ალაზნის რკინის ხიდიდან იწყობა სახაზინო ქიაურის ტყე.

წინა წერილში ქიზიყის სოფლები რომ მოვიხსენე, ესე იგი ანაგა, ვაქირი, მაშნაარი, საქობო, ჯუგაანი და სხვ. ეს სოფლები სარგებლობდნენ სახაზინო ქიაურის ტყით, დღემდის შემცილებელი არავინა ჰყავდათ.

დღეს კი ქიაურის ტყეში დასახლებულია რუსის სოფლები.

სახაზინო ქიაურის ტყე მდებარეობს სიღნაღის მაზრაში ალაზნის გაღმა, მისი სამზღვრებია: აღმოს.—ზაქათალის მხარის სამზღვარი. დასავლ.—სავაჩნაძიანო მამული, სამხრ. მდ. ალაზანი და ჩრდილ.—ლაგოდეხის მამულები.

მისი სივრცე 32,000 დესეტინას შეიცავს. და ამ სივრცეზედ დაასახლეს რუსები და გაშენდა შემდეგი სოფლები: ილარიონოვკა, გრაფოვკა, დაშკოვკა, ვორონცოვკა და ივანოვკა, 400 კომლზედ მეტს შეიცავს.

ეს სოფლები გაშენდნენ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულები მეფის ნაცვლის გრაფ ვორონცოვის წყალობით და მისივე მოსაგონათ ყველა სოფელს მისი სახელი დაარქვეს.

გარდა ქიაურის ტყისა ამასვე აკრავს სახაზინო მამული და შეიცავს 5000 დეს., სადაც გაშენებულია რუსის სოფლები: ლაგოდეხი, ნოვო-მიხაილოვკა, ნოვო-ალექსეევკა და ელისავეტოვკა, მათი მცხოვრებთა რიცხვი ითვლება 466 კომლი.

დღეს ამ სახაზინო ქიაურის ტყეს სხვები დაეპატრონენ და ქიზიყის სოფლები კი ისე თავისუფლად ვეღარ სარგებლობენ ტყითა და საძოვრითა.

ამ ზემორე რუსის სოფლებში ლაგოდეხის საზოგადოებაში ორი სოფელი ურევია: შრომა და კავშირი სადაც ქართველები მოსახლეობენ და 170 კომლამდის ითვლება. მათ საკუთარი მამული აქვთ შეძენილი მემამულეებისაგან.

სიღნაღიდან სადგ. წნორის-წყლამდის მიხვეულ-მოხვეული გზებით 11 ვერსი იქნება, სადგ. წნორის-წყლიდან ალაზნის ხიდამდის 14 ვერსია, ამის იქით ნოვო-მიხაილოვკამდის 22 ვერსი სჭრის ქიაურის ტყეს.

მიდიხარ ამ დაუსრულებელ ტყეში, აქეთ იქით გაუვალი ტყეა ამართული, წინ დაუსრულებელი გზა,—მაღლა ლურჯი ცა და ძირს კი ფართო გზატკეცილი.

მიდიხარ ამ ტრიალ ტყეში და გული გელევა, ვერას ხედავ ამ მომწყვდეულ მომჯადოებულ გაჭრილ ტყეში და ეშურები, რომ შენმა თვალმა რამე დაინახოს.

და აგერ მარცხნივ გზა-ტკეცილიდან თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის ადგილ-მამული და სახლ-კარ-მიდამო. ამ შორეულ ტყეში აგურით ნაშენი ახალი შენობები საჯინიბო, სასახლე თავის „ობსერვატორიით“ და სხვა შენობები, რომელიც საჭიროა საბატონო სასახლისთვის, შემოღობილი, შემოფარგლული, გვერდზედ ხილის ბაღები და სხვა კულტურული ადგილები.

ეს საბატონო ადგილ მდებარეობა თითქოს არ შეეფერება ამ შუაგულ უდაბურ ტყეს.

ეტყობა კიდეც—ამ ადგილ-მდებარეობას მზრუნველი ხელი აკლია.

დაღამდა. მთვარე გზას გვინთებს, ხეების ჩრდილი რაღაც საზღაპრო სანახაობას იღებს, ტყე მაინც არ ილევა, გზა და გზა რუსის სოფლებს ვუვლით.

ნოტიო ჰაერში ვეხვევით და მთის კალთების ვაკეში შევდივართ, და ეს ვაკე დაუსრულებელია, ალბათ ღამის გზა თუ ამას გვაჩვენებს.

18. „სავაჩნაძიანო მამული“.

სოფ. ნოვომიხაილოვკა ჩვეულებრივი რუსული სოფელია და ჩვეულებრივ საზოგადოდ, როგორც რუსის სოფლებს აქვთ წესი, გზა შუაზედ სჭრის, აქეთ იქით სახლებია ჩარიგებული თავის კარ-მიდამოებით და ეს გზა ერთვის ზაქათალას გზას, აქედან კი პირდაპირ თელავამდის მიდის.

შეუმჩნეველია ეს სოფელი, უკულტურობა ეტყობა, ბუნების მოჭარბებით არც კი სარგებლობენ მისი მცხოვრებნი, პირიქით მის ძალებს უხეშათ ექცევიან.

ვიდრე სოფ. ნოვო-მიხაილოვკა დასახლდებოდა, ეს ადგილი ეკუთვნოდა თ-დ ვაჩნაძეებს და მის მონაწილეებს, ამის გამო სახაზინო მამულების სამმართველოსთან გაიმართა დავა და ეს მამული დარჩათ ისევ თ-დ ვაჩნაძეებს, რომ ეს სოფელი არ გადასულიყო თ-დ ვაჩნაძეების ხელში სამმართველომ სამაგიეროდ ამ მამულს—მის გვერდზედ სახაზინო ქიაურის ტყიდან მოუჭრეს.

და ამ ნაჭერ ტყეში იმერეთიდან გადმოსახლებულნი ცხოვრობენ.

„სავაჩნაძიანო“ მამული მდებარეობს შემდეგ საზღვრებში: აღმ.—სახაზინო ქიაურის ტყე, დასავ.—თ-დ ანდრონიკაშვილების მამული, ჩრდილ.—დაღესტნის მთის გრეხილები დასამხ.—მდ. ალაზანი. სიგძე მამულის იქნება არა ნაკლებ 25 ვერსი და სიგანე ექნება ალაზნისაკენ 7 ვერსი, დაღესტნის მთისკენ კი 12 ვერსი.

მთელი მამულის სივრცე შეიცავს —24833 დეს. 420 კ. ს. და მათ შორის მთა არის 12172 დეს. და ვაკე-ადგილებიც 12661 დეს. 420 კ. ს.

ეს მამული დაყოფილია და მისი ნაჭრების ნუმერაცია აღწევს 143.

ამ მამულს ფლობელობენ შემდეგის სახით: გლეხებზედ გადავიდა—2651 დეს. 2280 კ. ს. და ეხლაც თანდათანობით გადადის; სომხებმა შეისყიდეს ზოგიერთი მონაწილეებისაგან 628 დეს. 360 კ. ს., ამათზედ გადასვლა მამულისა ჯერ-ჯერობით შეჩერებულია; გარეშე მონაწილეები ფლობელობენ უკვე დამიჯნულს 540 დეს. 110 კ. ს. და მთაშიაც ერგებათ 3000 დესეტინამდის, მაშასადამე, თ-დ ვაჩნაძეები ფლობელობენ 13146 დ. 80 კ. საჟ.

ამ მამულში შედის მთელი კარტუბანის საზოგადოება, რომელშიაც შემდეგი სოფლები მდებარეობენ: ბაისუბანი, პატარ-გორა, ეშმაკის-ყუბო, ფონა, კარტუბანი, ხეჩემო, მსხალ-გორი, ბოლოკიანი, კარსუბანი და თელა.

კარტუბანში თათრები ცხოვრობენ და 200 კომლამდის ითვლება; ეშმაკის ყუროში, ხეჩემოში და ფონაში ოსები მოსახლეობენ და მცხოვრებნი ითვლება 150 კომლამდის, დანარჩენ სოფლებში კი ქართველები ცხოვრობენ და მათი რიცხვი 530 კომლამდის ადის.

ყველაზედ ადრე თათრები დასახლებულან, 20 წლიწადი იქნება, დანარჩენი, რვა-ცხრა წელიწადია, რაც გადმოსახლებულან იმერეთიდან და ქართლიდან, თან თავიანთი კულტურა წამოუღიათ, რომელსაც ადგილობრივ შევებები.

ამ ჟამად ამ მამულში გამიჯვნა სწარმოებს, მიწის მზომელი ს-ნ კლ-ს ასრულებაში მოჰყავს სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სხვათა შორის მან გამაცნო „სავაჩნაძიანო“ მამულთან და ეს ცნობები მან გადმომცა, აგრეთვე მითხრა: „დამივლია მთელი ქუთაისის გუბერნია, განჯის გუბერნიის მამულები დამიმიჯნავს, გორის მაზრას კარგად ვიცნობ, მაგრამ ამისთანა მამულს, როგორიც არის გაღმა მხარის ალაზნის ველისა, არც ერთი მამული არ შეედრებაო, დაწყებული ალაზნის ველის გაღმა მხრიდან—ზაქათალ-საინგილოს მამულებით—ვიდრე ნუხამდის—ერთის ღირსების მამულს შეადგენსო“.

და, რამდენად მართალია მისი სიტყვები, დავიაროთ, ჩემო მკითხველო, ერთად ამ მამულებში, გავეცნათ ახლოს ბუნების მოჭარბებულ ძალებსა და სოფლის მოხელეების მართვა-გამგეობასაც ნუ მოვაკლებთ ჩვენ ყურადღებას.

ნათქვამია მეცნიერისაგან: „მოძრაობა არის სიცოცხლე, გაჩერება კი სიკვდილიო“.

მაშ, ჩვენც ვიაროთ!

Legatus.

წერილი ოზურგეთიდან

(საექიმო დახმარება)

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და მოშლილი, დაავადებული ჯანის აღსადგენად, გამოსამრთელებლად ყველა ზრუნავს. ექიმობის ყადრი პირუტყვებსაც კი აქვთ; ბუნებისმეტყველები მოგვითხრობენ თუ როგორ ეჩვევიან ექიმობას: ძაღლი, სპილო, მაიმუნი, თუთიყუში, ყვავი და სხვა. საბედნიეროდ გურულებმაც შეიგნეს თანამედროვე ექიმობის უპირატესობა და დღეს გურიაში დედაბრებსა, მკითხავებს, თავზე შემორებას, სალოცავს და სხვა მსგავსებს ფასი ეკარგება. გურული ექიმობისათვის არაფერს ზოგავს, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ შემდეგ, როცა ავადმყოფი ძნელი გამოსაბრუნებელი ხდება. ამ დროს ავადმყოფის კრიზისის დროს ავადმყოფის ჭირისუფალი გურული მზად არის „საცხოვრებელი დააწინდროს“, ავადმყოფი ყველა გამოჩენილ ექიმს უჩვენოს და, როგორც გურულები იტყვიან, „გული შეაჯეროს“.

თითქმის მთელი გურია ციებ-ცხელებიანი ადგილია, ამის მიზეზით მთელი გურია, დიდი და პატარა, შეპყრობილია უჟმურით (მალიარიით). ციების ნიადაგზე წარმოშობილი სხვა და სხვა ავადმყოფობით სავსეა გურია. ამას დაუმატეთ კიდევ ის „უცხო სენი“, რომელთაც გარედ გასული გურული ქალ-ვაჟები იძენენ და მერე გურიაში ავრცელებენ. მე მოგახსენებთ ვენერიულ ავადმყოფობაზე, რომელიც საარაკო სისწრაფით ვრცელდება, არამც თუ რკინის გზის სადგურის მახლობლად, არამედ „თავ შემონახულ“ სოფლებშიაც კი. თუ ძნელია ვენერიულ ავადმყოფობასთან ბრძოლა, სამაგიეროდ ძლიერ ადვილია ციების თუ არ მოსპობა შემცირება მაინც. ამისთვის საჭიროა ჭაობების ამოშრობა, თხმელას (მურყანის) მოსპობა, ჰიგიენური ცხოვრება და სხვა, მაგრამ არც ერთი გურული ამაზე არ ფიქრობს. ის სულ არ ზრუნავს, რომ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზს შეებრძოლოს, გურული ებრძვის ტოტებს, ძირს კი პირიქით აპატივებს, ნიადაგს უმზადებს, რომ უფრო მძლავრად ამოიყაროს ტოტები.

ავადმყოფის პატრონი გურული მიაშურებს ექიმ-ფერშალს და აფთიაქს და არასოდეს ეზოში დაგუბებულ აშმორებულ ჭაობს, ბაყაყთა საბუდარს, არ მოსპობს. მას არ ესმის თუ მისი ჯანის ექიმ-ფერშალიც და აფთიაქიც თვით არის.

გურულებს რაც მარტო ქინაზე ეხერხებათ, იმისი ნახევარი რომ ჰაერის გაუმჯობესებას მოანდომონ, მე დარწმუნებული ვარ ციება 90 პროცენტიც აღარ იქნება. ცხადია აქ კერძო თაოსნობა უძლურია, არამედ საჭიროა საზოგადოებრივი ბრძოლა, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იცხელებს. კითხულობენ ლექციებს სხვა და სხვა განყენებულ საგნებზე (თუ გინდ ფუტურისტებზე), მაგრამ არც ერთი სახალხო საჭირბოროტო ლექცია-საუბარი გურიაში ჯერ არავის უნებებია. სამაგიეროდ მრავლდება აფთიაქები და მრავლდებიან ფერშალ-ექიმები. გურიის 25 საზოგადოებაში ჯერჯერობით 19 აფთიაქია *). როგორც ხედავთ გურულები ექიმობისათვის არას ზოგავენ, მაგრამ ავადმყოფთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, თორემ არ კლებულობს, მიზეზი ისაა, რომ არ ვებრძვით ავადმყოფობის წარმომშობ მიზეზს.

სოფლის უბრალო საზოგადოებებს, რომელთა წარმატება მამასახლისების ხელშია, რაღა გავუმტყუნოთ, როცა ქალაქ ოზურგეთს, თავისი მუნიციპალური დაწესებულებით გულხელ-დაკრეფილია და მისი 20 წლის (რაც თვითმართველობა მიანიჭეს) არსებობის ხანაში ქალაქის მიდამოების გაწმენდისათვის, ქალაქის ჰაერის გაუმჯობესებისათვის სულ არაფერი გაუკეთებია.

მთელი ქალაქი (ე. წ. ქალაქის „ჩეთა“) ჭაობშია ჩაფლული და ბაყაყთა ორკესტრი უტკბობს ყურს მოქალაქეებს, მთელი ქალაქი თხმელაით არის გაშენებული, სანიტარული მდგომარეობა ხომ საგანგებოზე საგანგებოა და ამაზე ლაპარაკიც კი ზედ მეტია.

კავკასიაში კი არა, მგონი რუსეთშიდაც იშვიათია ისეთი საავადმყოფო, რომელშიდაც ავადმყოფი გურული არ იწვევს. გურიაში კი არც ერთი საავადმყოფო არ არის. არის საერობო საავადმყოფო ჩოხატაურსა და ლანჩხუთში, მაგრამ რას გახდება ათ ათ საწოლიანი და ისიც საგანგებო პირობებით. ყოველ შემთხვევაში არაობას ესენიც სჯობს და ხალხს საკმაო სამსახურს უწევენ. ქ. ოზურგეთს ერთი საწოლიც არ აქვს. აქვს მხოლოდ მოსიარულეთათვის (ამბულატორია) საავადყოფო და ისიც თვარესავით „ხან გამოჩნდება ხან არა“. ოზურგეთის მოქალაქეთათვის წარმოუდგენელი და აუტანელია ასე ცხოვრება. ქალაქის მცხოვრებთათვის აუცილებელია, როგორც ამბულატორია ისე მასთან 10—20 საწოლიანი საავათყოფო. მართალია ამის მოწყობას ხარჯი მოუნდება, მაგრამ გარდა სარგებლობის, დანახარჯსაც ქალაქი ადრე აინაზღაურებს. დღეს შიგ ქალაქის მიდამოებში („ჩეთაში“) ექიმის მიწვევა ჯდება 5 მანეთამდე, ამას დასძინეთ წამლების ფასი და ოჯახში ავათმყოფის მოვლა. ყველა გამოცდილი დამეთანხმება, რომ ის თუ გინდ შიგ შუაგულ ქალაქში (ცხოვრობდეს), ავათმყოფის მოვლა, წამლობა—ექიმიანებ დღე და ღამეში დაუჯდება არა ნაკლებ 10 მანეთისა. ის კიდევ სხვაა თუ ავათმყოფს გადამდები სენი სჭირს და ოჯახის წევრებს ან ყველას გადიედო, ან ყველა დასახიზნი დარჩა. ამ დროს რომ საავათყოფოს წესიერ მოვლაში 3—5 მან. აძლიოს დიდი მოგებული იქნება. უკეთუ ამას ახლანდელი განახლებული თვითმართველობა ითავებს, სულ ადვილი მოსაწყობი იქნება. საბედნიეროთ ახლა ქალაქს უკვე აქვს საკუთარი შენობა, რომელიც ამბულატორიასა და საავათყოფოს ეყოფა, ამბულატორიის ექიმიც ორივეს გასწვდება, ნისამატი დარჩება მხოლოდ მოწყობა და მომვლელები.

ნუ დაივიწყებენ ოზურგეთლები, რომ მათ, ამ „ქებულ მოქალაქეებს“ დღეს გურიის ყველა სოფლები უსწრებენ კულტურით. ყველა თვალსაჩინო სოფელს აქვს თავისი საკუთარი რაიმე დაწესებულება, რომლის დაარსებას რამოდენიმე ათასი მანეთი დაახარჯეს, ოზურგეთს კი ერთი აფთიაქის მეტი არაფერი არ აქვს, არაფერი არ გაუკეთებია, არაფერი არ შეუქმნია.

დღეს კი სრული იმედი გვაქვს, ოზურგეთის თვითმმართველობა, რომელსაც ღირსეული მეთაური ჰყავს, შესძლებს ამბულატორია-საავათყოფოს მოწყობას (პირველი უკვე გადაწყვეტილია მოეწყოს) და მით ბევრ მოქალაქეს სიკვდილისაგან იხსნის.

აპ. წულაძე.

---

[*] ამ 30 წლის წინად მხოლოდ სამი აფთიაქი იყო გურიაში.

დუშეთი

დუშეთი პატარა ქართული ქალაქია. მცხოვრებლებს შეადგენენ ქართველები და სომხები. ვაჭრობა დღემდის თითქმის სულ სომხების ხელში ყოფილა, დღეს კი ნელ-ნელა ქართველებიც იკიდებენ ფეხს. ხალხის ცხოვრება კი ქართულს სულ არ წააგავს.

ამ პატარა ქალაქის შვენებას შეადგენს შუაში ამართული დიდი ტაძარი. ტაძარი ეკუთვნის ქალაქს; წირვა-ლოცვა კი სრულდება მეტ წილად რუსულს ენაზედ ისეთ დღეებშიაც კი, როგორც „თამარობაა“, „ნინოობა“ და სხვა შეიძლება სთქვას ვინმემ, რომ ალბად რუსები ბევრი ყოფილა ქალაქშიო. სულაც არა. ძალიან რომ გავადიდოთ ხუთი სული თუ იქნება. რაც შეეხება ჯარს—მათ თავისი საკუთარი ეკლესია აქვს და კარგა ხანია ქალაქის ეკლესიაში ისინი აღარ დაიარებიან. მაშ რაა მიზეზი რუსული წირვა-ლოცვის? ის, რომ დამსახურებული დეკანოზი ბეჯითობს. საჭიროა ადგილობრივმა ინტელიგენციამ მიმართოს სასინოდო კანტორას, რომ ამ ტაძარში ღვთის ვედრება მშობლიურ ენაზედ სრულდებოდეს.

მეორე ნაკლი: იქვე დუშეთზე მიკრული არის 300 კომლიანი მრევლი ყვავილისა. მღვდელს მოუკლავებია „პრაპორჩიკების“ სკოლაში, და დრო აღარ აქვს თავის მრევლს მიხედოს.

არც აქაური სამკითხველოს ნახვა გაგიხარებთ გულს, შეხვალთ შიგ და ნახავთ „რუსკოე სლოვოს“ და „თეატრი და ცხოვრებას“. სხვა არც ერთი გაზეთი არაა.

აქაური „კოოპერატივმა“ პირდაპირ მესიათ მეევლინა ხალხს და დიდი სამსახურიც გაუწია, მაგრამ იქაც არა უშავდა რა ცოტა მოსამსახურეების რიცხვი შემოკლონ, რაიც დიდ ხარჯს იწვევს.

დუშეთის „კოოპერატივი“ უნდა აიღოს მაგალითი „ბაზალეთის კოოპერატივისა“, რომელმაც ცოტა ხნის განმავლობაში, ამ დუქნის მოგებიდან 300 დესეტინა მიწა გამოისყიდა ბანკიდან და სოფელს გადასცა სასარგებლოდ. ეხლა, როგორც გავიგეთ, მას დაუპირებია ავტომობილის მუშაობა თბილისსა და ძაუგს (კავკავს) შუა. თუ ეს გამართლდა ედიგაროვის აპეკუნობისაგან ჩქარა განთავისუფლდება „საქართველოს სამხედრო გზა“. უნდა შევნიშნოთ დუშეთის „კოოპერატივს და საერთოდ ქალაქის ქართველობას, რომ მეტი უნარი გამოიჩინონ ხოლმე ისეთ პატარა საქმეებში მაინც, როგორიც ამ სამს დღეში მოხდა: მღვდელი ცქიტიშვილი ჰყიდდა სახლს სამოსახლოთი. ქართველობამ მისი შეძენა ვერ მოახერხა—თავი არ შეიდვა და იგი შეიძინა თბილისელმა სომეხმა. თუ ასე გაგძელდა საქმე—ჩქარა დუშეთს თბილისელი სომხები თავის „დაჩათ“ გაიხდიან.

საერთოდ დუშეთს გამოფხიზლება აკლია და ყველა ეს კი იქაური ინტელიგენციის დაუდევრობის ბრალია. თუ კი ქალაქი ამ ნაირ დღეში იქნება, სადაც ინტელიგენტთა რიცხვი საკმაოა, რაღა ქნას სოფელმა, სადაც თითო-ოროლას მეტი არაა?

მთის მოძღვარი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ჭანჭიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4, 7 „ 58	„	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 7 „ 58	„	საღ.

თუ გსურთ,
რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1
შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.
ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ
და პირნათლად ასრულებს.
◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆
მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
უმცლასთვის ხელმისაწვდენ ფასშ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
კულინარული (მზვარეულობის) სკოლა
ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)
სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზვარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელების, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.
სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.
(10—338—9)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება უოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартвиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартвиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჟმე-შონსი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯ და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკებ, რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.